საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *კახაბერ სოფრომაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი : 27.05.2021 წ.

კახაბერ სოფრომაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		კანდიდატი არის პატიოსანი. თავის მოვალეობებს, მათ შორის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მას აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი არ გამოირჩევა მოთმინების უნარით. ამასთან, მას გამოქვეყნებული აქვს პოლიტიკური შინაარსის მქონე ინფორმაცია მის პირად გვერდზე სოციალურ ქსელში.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**21**	**25**	კანდიდატი მეტნაკლებად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, თუმცა ის ნაკლებად ფლობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატი მეტნაკლებად ფლობს ცოდნას

			ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართულებით, ის ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, თუმცა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით არ ფლობს ინფორმაციას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25	კანდიდატს ძირითადად გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. ის ახერხებს თავისი პროფესიული გამოცდილებისა და დაგროვებული ცოდნის წარმოჩენას.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. თავის მოსაზრებებს აფიქსირებს თანმიმდევრულად, ნათლად და გასაგებად. ის მარტივი ენით გადმოსცემს ინფორმაციას როგორც წერილობით, ისე ზეპირად. თუმცა, კანდიდატი არ გამოირჩევა მოთმინების უნარით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, მას აქვს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი. ის არის შრომისმოყვარე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი. ის იშვიათად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. ის თავის საქმიანობაში იყენებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატს გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი. ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას. აქვს გამოქვეყნებული ისტორიულ-სამართლებრივი სტატია.
ქულათა ჯამი	90	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და		

	რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35^1-ე და 36^3-ე მუხლების შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, კახაბერ სოფრომაძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კახაბერ სოფრომაძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. თუმცა, კანდიდატს უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. კახაბერ სოფრომაძე მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია პარტნიორად: შპს " დიქსი XXI " - 34% -ის მფლობელი; შპს "სამშენებლო და სარემონტო სერვისი 2002 "- 34%-ის მფლობელი; კანდიდატი ასევე არის სოფრომაძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმები დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატს შესწევს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ის არის

	თავდაჯერებული და სამართლიანი, რასაც ადასტურებენ მისი კოლეგები და რეკომენდატორები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კახაბერ სოფრომაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი თუ შემომწირველი. თუმცა, თავის სოციალურ გვერდზე მას გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა სახის პოლიტიკური ინფორმაცია. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მიუხედავად კანდიდატის მიერ გაზიარებული პოლიტიკური ინფორმაციისა ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. <u>პიროვნული პროფესიული ქცევა</u> კანდიდატი არის კორექტული, თუმცა გასაუბრების მიმდინარეობისას მან ყველა ეტაპზე ვერ შეძლო გამოევლინა თავდაჭერილობა და ემოციების მართვის უნარი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას იცავს შესაბამის ეთიკის ნორმებს, მისი დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ დისციპლინრული დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი არ წარმოდგენილა მხარედ ანდა დაზარალებულად, ამასთან, არ ფიქსირდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u> კახაბერ სოფრომაძე სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოელეგებს შორის. გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ კარგად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის სამართლიანობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას და ა.შ.. კანდიდატის რეკომენდატორების ნაწილი თვლის, რომ კანდიდატი არის რბილი, მიმნდობი და გულჩვილი, რასაც ისინი მიიჩნევენ სისუსტედ და ნაკლოვანებად. <u>ფინანსური ვალდებულება</u> როგორც უკვე აღინიშნა, კახაბერ სოფრომაძე კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კახაბერ სოფრომაძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

სამართლის ნორმების ცოდნა

კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ის მეტნაკლებად ფლობს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. თუმცა, გარკვეულ საკითხებთან მიმართებით მან ვერ განავითარა მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომასთან დაკავშირებით, მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინებისა და მათ მიერ ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ის, თავის მხრივ, ცდილობდა დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების წარმოჩენას, თუმცა, გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მან ვერ განავითარა მსჯელობა, ამასთან, ზოგიერთ საკითხთან მიმართებით მისი მსჯელობა იყო ლაკონური და ნაკლებად არგუმენტირებული.

გასაუბრების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი ნაკლებად ფლობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, მან ვერ განავითარა მსჯელობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე არასრულწლოვანთათვის სასჯელის განსაზღვრისა და მოწმის დაკითხვის საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ..

	მართალია, კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, თუმცა გარკვეულ საკითხებზე მსჯელობისას მისი პასუხები არ იყო ამომწურავი და სამართლებრივად მყარად დასაბუთებული, კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულებასა და შრომით ხელშეკრულებას შორის განსხვავებასთან, ასევე არაკეთილსინდისიერი შემძენის მიერ ნივთის აუქციონზე შეძენასთან მიმართებით კანონის დანაწესის განმარტებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. თუმცა, მიზანშეწონილია, კანდიდატმა გაიღრმავოს ცოდნა კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებზე კანდიდატს გაუჭირდა მსჯელობა. მაგალითად, კონსტიტუციით გათვალისწინებულ აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციით გარანტირებულ საპროცესო უფლებებთან მიმართებით, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვასთან დაკავშირებით და ა.შ.. საბოლოოდ, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატმა მისთვის დასმული ზოგადი და სამართლებრივი ხასიათის შეკითხვების განხილვისას დამაკმაყოფილებლად იმსჯელა საკითხების სრული რაოდენობის 73%-თან დაკავშირებით. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატს ძირითადად გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისას მან გამოავლინა კარგი სტრატეგიული ხედვის უნარი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, მას საინტერესოდ აქვს მიმოხილული 1921 წლის კონსტიტუციის მიღების ისტორიული წინაპირობა და სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა იმ დროისათვის. აღნიშნულ სტატიაში თავისი ძირითადი სათქმელი კანდიდატს გადმოცემული აქვს მარტივი და გასაგები ენით. კანდიდატს აქვს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც არ უკავშირდება სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას. **<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. თავის მოსაზრებებს

	აფიქსირებს თანმიმდევრულად, ნათლად და გასაგებად. ის მარტივი ენით გადმოსცემს ინფორმაციას როგორც წერილობით, ისე ზეპირად. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატმა სათანადოდ ვერ გამოავლინა განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. **<u>პროფესიული თვისებები</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური, მას აქვს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, ამასთან, არის შრომისმოყვარე. იმის გათვალისწინებით, რომ თავისი პროფესიული გამოცდილების ფარგლებში კანდიდატი, მათ შორის, ახორციელებდა ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას, შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი. ის ზოგჯერ ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. თუმცა, მიზანშეწონილია, კანდიდატი უფრო ხშირად ეცნობოდეს საკანონმდებლო სიახლეებსა და სასამართლო პრაქტიკას. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ კანდიდატმა ვერ განავრცო მსჯელობა ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით. ამასთან, გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატის მიერ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით სამოსამართლო პრაქტიკის ხარვეზზე მსჯელობისას გამოირკვა, რომ დაახლოებით 8 წელია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შეიცვალა. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის მუშაკთა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები. ასევე მან ჩააბარა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა აკადემიურ საქმიანობას საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში. კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა ის არის ისტორიულ-სამართლებრივი სტატიის ავტორი. 2013-2017 წლებში კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2017 წელს კანდიდატს მიენიჭა იუსტიციის მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური

	წოდება.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.